

**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“
ონლაინ მედიის სამსახურის
დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ (შემდგომში „მაუწყებელი“) ონლაინ მედიის სამსახურის (შემდგომში „სამსახური“) სტრუქტურას, უფლებამოსილებებს და ამოცანებს, აწესრიგებს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;
2. სამსახური წარმოადგენს მაუწყებლის სტრუქტურულ ერთეულს;
3. სამსახური თავისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენს მაუწყებელს და ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის წინაშე;
4. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონებით, მაუწყებლის დებულებით, მაუწყებლის დირექტორის სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე დებულებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. სამსახურის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

1. სამსახურის საქმიანობის მიზანია მაუწყებლის ვებ-საიტი (adjaratv.ge და radioajara.ge) ვითარდებოდეს მუდმივად მაუწყებლის პრიორიტეტებისა და აუდიტორიის ინტერესების შესაბამისად;
2. მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას სწრაფად, ოპერატიულად და სხვადასხვა კუთხით;
3. შესთავაზოს აუდიტორიას საინტერესო მულტიმედია პროდუქტები;
4. ვებ-საიტი იყოს მიმდინარე რეჟიმში ტექნიკურად გამართული;
5. მუდმივად ნახლდებოდეს მაუწყებლის სამივე პლატფორმაზე მომზადებული მასალები;
6. სოციალურ ქსელებში მაუწყებლის პოზიციონირება და კონკურენტუნარიანობის გაზრდა.

სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

- ა). მულტიმედია პროდუქტის მომზადება და მისი ხარისხის კონტროლი;
- ბ) ონლაინ მომხმარებლების დროული ინფორმირება, ზუსტი და ხარისხიანი მედიაპროდუქტის მიწოდება;
- გ) სოციალურ ქსელებში მაუწყებლის პოზიციონირება და კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
- დ) ვებ-საიტზე ასატვირთი პროგრამების, ტვ და აუდიო მასალების დროული განთავსება ონლაინ სივრცეში და ვებსაიტებზე;
- ე). საიტის მუდმივი განვითარების უზრუნველყოფა პრიორიტეტებისა და აუდიტორიის ინტერესების შესაბამისად;
- ვ). სოციალურ მედიაში მაუწყებლის ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვა, ხარისხისა და სტანდარტების უზრუნველყოფა. მომხმარებელთა კომენტარების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგი.

სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

- ა). ვებ-საიტისთვის პროდუქციის შექმნა და განთავსების უზრუნველყოფა;
- ბ) ვებ-საიტზე დამოუკიდებელი შინაარსის შექმნა, მისი ხარისხის კონტროლი.
- გ). ვებ-საიტის აუდიტორიის მოზიდვისა და მათი ლოიალურობის ამაღლების უზრუნველყოფა;

- დ). სოციალურ ქსელებში მაუწყებლის პოზიციონირება, სამივე პლატფორმაზე (ვებ-საიტი; ტელევიზია; რადიო) მომზადებული მასალების, გადაცემების განთავსება, რეკლამირება, ონლაინ მომხმარებელთა ჩართულობის უზრუნველყოფა. შემოსულ წერილებზე პასუხების გაცემა და შესაბამის სამსახურებზე გადაცემა.
- ე). სოციალურ მედიაში მაუწყებლის ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვა, ხარისხისა და სტანდარტების უზრუნველყოფა.
- ვ) კომენტარების მონიტორინგი და საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამო კომენტარების კონტროლი.
- ზ). ვებ-საიტზე პროგრამებისა და მასალების განსაზღვრულ დროებში ატვირთვა;
- თ). ვებ-საიტზე გადაცემებისა და მასალების ატვირთვის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების დროული გადაწყვეტის უზრუნველყოფა;
- ი). ვებ-საიტის ტექნიკური გამართულობის წინასწარი შემოწმება;
- კ). მიმდინარე რეჟიმში ვებ-საიტის ტექნიკური ხარვეზების, გაუმართაობის შემთხვევების მაქსიმალური გამოვლენა;
- ლ). ვებ-საიტის ფუნქციონირებაში დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზების დროული გადაწყვეტის უზრუნველყოფა;
- მ). ვებ-საიტზე განსათავსებელი პროდუქტის შერჩევის მეთოდოლოგიებისა და მიდგომების განსაზღვრა;
- ნ). ვებ-საიტის განვითარების/საჭიროებების პროექტის/გეგმის მომზადება;
- ო) სოციალურ ქსელებში განსათავსებელი პროდუქტის შერჩევის მეთოდოლოგიებისა და მიდგომების განსაზღვრა.

მუხლი 3. სამსახურის უფლებამოსილება

დაკისრებული ფუნქციების და ამოცანების შესრულებისას სამსახური უფლებამოსილია:

- ა). დაადგინოს სატელევიზიო და რადიო გადაცემების ჩაბარების/მიწოდების განრიგი;
- ბ). წინასწარ განსაზღვრულ პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში ახორციელებს ვებ-საიტიდან მასალის მოხსნას ან/და განთავსებაზე აცხადებს უარს;
- გ). კოორდინაციას უწევს მაღალი ხარისხის, აუდიტორიის ინტერესების შესაბამისი მასალის მოძიებას, შექმნასა და განთავსებას ვებ-გვერდზე;
- დ). დროულად ავლენს ვებ-საიტთან დაკავშირებულ ხარვეზებს და მაუწყებლის დირექტორს სთავაზობს რეაგირების გზებს;
- ე). უზრუნველყოფს გადაცემებში გამოვლენილ შეუსაბამობებზე ავტორების, რედაქტორებსა და პროდიუსერების დროულ ინფორმირებას;
- ვ). განსაზღვროს პროგრამებისათვის ანონსების ფორმა და გავრცელების არხები/საშუალებები ონლაინ სივრცეში;
- ზ). ახორციელებს ვებ-საიტზე განსათავსებელი მასალის/პროდუქტის შექმნას;

მუხლი 4. სამსახურის სტრუქტურა

სამსახურში დასაქმებულია:

- ა). სამსახურის უფროსი;
- ბ). ვებ-საიტის რედაქტორი;
- გ). ვებ-საიტის განახლების/მართვის სპეციალისტი;
- დ). ვებ-საიტის განახლების/მართვის სპეციალისტი უცხოეთის მიმართულებით;
- ე). სოციალური ქსელის განახლების/მართვის სპეციალისტი;
- ვ). ვებ-რეპორტიორი.

მუხლი 5. სამსახურში დასაქმებული პირების მიერ შესასრულებელი სამუშაოები:

5.1. სამსახურის უფროსი:

- ა). ორგანიზებას უწევს სამსახურში დასაქმებული პირების საქმიანობას, განსაზღვრავს სამუშაო გრაფიკს/განრიგს;
- ბ). ორგანიზებას უწევს ვებ-საიტის განვითარების გეგმის შედგენას და ახორციელებს შესრულების კონტროლს;
- გ). ორგანიზებას უწევს სატელევიზიო და რადიო პროდუქტის ვებ-საიტზე განთავსებას და კონტროლს;
- დ). ვებ-საიტზე ახალი გვერდის (რუბრიკების) დამატების იდეებს წარუდგენს მაუწყებლის დირექტორს;
- ე). კოორდინაციას უწევს ვებ-საიტისთვის ტექნიკურად მაღალი ხარისხის, აუდიტორიის ინტერესებზე მორგებული პროგრამების განთავსებას;
- ვ). კოორდინაციას უწევს და როგორც არსებულ, ასევე ახალ ავტორებთან ერთად გეგმავს მათი გადაცემების ონლაინ სტრატეგიას;
- ზ). უზრუნველყოფს ვებ-საიტის მიმართულებით „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და დამტკიცებული პროგრამული პრიორიტეტებით განსაზღვრული ამოცანების ჯეროვანი შესრულების ზედამხედველობას;
- თ). ასრულებს სხვა საქმიანობას რომელიც გამომდინარეობს სამსახურის მიზნებიდან;
- ი). ასრულებს მაუწყებლის დირექტორისა და დირექტორის მოადგილის სამსახურებრივ დავალებებს/მითითებებს;

5.2. ვებ-რედაქტორი:

- ა). გეგმავს, ამზადებს/ახორციელებს დღის თემებს და ათავსებს საიტზე;
- ბ). ახორციელებს მაუწყებლის ეთერში (რადიო-ტელევიზიის) გასული ან მოპოვებული მასალების საჭიროებისამებრ დამუშავებას, დაზუსტებას, განახლებას და განთავსებას;
- გ). ახორციელებს ინფორმაციის გამოთხოვას, ინტერვიუების ჩაწერა, მასალის მომზადება. პასუხისმგებელია მასალის ხარისხზე, სიზუსტესა და ობიექტურობაზე;
- დ). საჭიროების შემთხვევაში გადის გადაღების ადგილზე, აკეთებს პირდაპირ ჩართვას, ფოტო რეპორტაჟს ან სტატისას;
- ე). ვებ-რეპორტიორებთან ერთად განსაზღვრავს აქტუალურ თემას, ამღევეს დავალებებს, იღებს გადაწყვეტილებას ლაივის ან რეპორტაჟების განთავსების შესახებ.
- ვ). მაუწყებლის ეთერში საინტერესო პირებთან ინტერვიუების ან ინფორმაციის მონიტორინგი, ინფორმაციის დაზუსტება, მულტიმედია პროდუქტად გარდაქმნა და საიტზე განთავსება;
- ზ). ავალბებს ვებ-საიტის განთავსების სპეციალისტს საჭიროებისამებრ ტექნიკურად მასალის დამზადების უზრუნველყოფას;
- თ). პასუხისმგებელია სოციალურ მედიაში გაზიარებული მასალის ჟურნალიტური ეთიკის სტანდარტებთან შესაბამისობაზე;
- ი). უზრუნველყოფს ვებ-გვერდზე გადაცემებისა და მასალების ატვირთვის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების დროული გადაწყვეტას;
- კ). პასუხისმგებელია სამსახურის უფროსის სამსახურებრივი დავალებების/მითითებების შესრულებაზე;

5.3. ვებ-გვერდის მართვის სპეციალისტი

- ა). ვებ-საიტზე ასატვირთი პროგრამებისა და მასალების ტექნიკური ხარისხის შემოწმება და განთავსება;
- ბ). ტექნიკური ხარვეზის შესახებ სამსახურის უფროსის ინფორმირება;
- გ). ვებ-საიტზე პროგრამებისა და მასალების გრაფიკით განსაზღვრულ დროში ატვირთვა;
- დ). მიმდინარე რეჟიმში ვებ-საიტზე ტექნიკური ხარვეზების, გაუმართაობის შემთხვევების მაქსიმალური გამოვლენა/აღრიცხვა;

- ე). ვებ-რედაქტორთან შეთანხმებით (ტელევიზიისა და რადიოს) მასალებისთვის ვებ-საიტისთვის ადაპტირებული სათაურების და ლიდების შეცვლა/განსაზღვრა;
- ვ). რედაქტორთან შეთანხმებით ტელევიზიის, რადიოს ან ვებ-საიტზე განთავსებული მასალის შინაარსის შეცვლა;
- ზ). პასუხისმგებელია სამსახურის უფროსისა და ვებ-გვერდის რედაქტორის სამსახურებრივი მითითებების/დავალებების შესრულებაზე;

5.4. ვებ-გვერდის მართვის სპეციალისტის უცხოეთის მიმართულებით

- ა). ვებ-საიტზე ასატვირთი პროგრამებისა და მასალების ტექნიკური ხარისხის შემოწმება და განთავსება;
- ბ). ვებ-გვერდზე პროგრამებისა და მასალების გრაფიკით განსაზღვრულ დროში ატვირთვა;
- გ). მიმდინარე რეჟიმში ვებ-საიტის ტექნიკური ხარვეზების, გაუმართაობის შემთხვევების მაქსიმალური გამოვლენა/აღრიცხვა;
- დ). რედაქტორის მითითებით (ვებ-გვერდზე განთავსებული) ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე ან პირიქით ინფორმაციის თარგმნა და გვერდზე განთავსება;
- ე). პასუხისმგებელია დამუშავებული (გადათარგმნილი) მასალის შესაბამისობასა და სიზუსტეზე;
- ვ). სამსახურის უფროსისა და ვებ-გვერდის რედაქტორის სამსახურებრივ მითითებების შესრულება;

5.5. ვებ-რეპორტიორი:

- ა). თემების მოძიება, ანალიზი და დამუშავება;
- ბ). კვალიფიციური რესპონდენტების მოძიება, მათთან ინტერვიუების ჩაწერა და სტატიის, ინტერვიუს, ახალი ამბავის მომზადება;
- გ). პასუხისმგებელია მულტიმედია პროდუქტის შექმნაზე (ვიდეო-აუდიო-ტექსტუალური მასალა ერთად და ცალ-ცალკე);
- დ). პასუხისმგებელია მოძიებული ინფორმაციის სანდოობასა და სიზუსტეზე;
- ე). წინასწარი თანხმობით მიდის მოვლენის ადგილზე და რთავს პირდაპირ ეთერს საიტზე ან სოციალურ ქსელში (ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვით);
- ვ). უზრუნველყოფს ახალი ამბების ოპერატიულად, ზუსტად და სტანდარტების შესაბამისად მომზადებას;
- ზ). ახორციელებს სამსახურის უფროსისა და ვებ-რედაქტორის სამსახურებრივ მითითებების/დავალებების შესრულებას;

5.6. სოციალური ქსელის ადმინისტრატორი:

- ა). პასუხისმგებელია - მაუწყებლის მთავრი გვერდისა და გადაცემების ფეიჯების განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად;
- ბ). მუდმივ რეჟიმში, თემატურად ფეიჯების განახლება. მასალების (ვიდეო, აუდიო) მოძიება, დამზადება და განთავსება;
- გ). პეიჯის მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა;
- დ). გიფების, ინფოგრაფიკების ან გამოკითხვების მომზადება და რედაქტორთან შეთანხმებით აუდიტორიისთვის შეთავაზება;
- ე). მაუწყებლის ვებ-გვერდზე განთავსებული მასალების სოციალურ ქსელებში შესაბამისი ფორმატით გატანა;
- ვ). ჟურნალისტური ეთიკისა და მაუწყებლის ქცევის კოდექსის დაცვა;
- ზ). მოქალაქეების წერილებზე შეთანხმებისამებრ რეაგირება;
- თ). სოციალური გვერდების ანალიზი, განვითარების დინამიკის კონტროლი;
- ი). სატელევიზო ან რადიო პროდუქტების მულტიმედია პროდუქტად გადაქცევა და რედაქტორთან შეთანხმებით ფბ განთავსება;
- კ). საჭიროების შემთხვევაში სოციალურ ქსელში პირდაპირი (მხოლოდ ვიდეოს) ჩართვა;

ლ). სამსახურის უფროსისა და ვებ-გვერდის რედაქტორის სამსახურებრივი მითითებების/დავალებების შესრულება;

მუხლი 6. განსაკუთრებული დებულებები

1. სამსახურში მუდმივ ან პერიოდულ ამოცანათა შესასრულებლად დადგენილი წესის საფუძველზე შეიძლება მიღებულ იქნენ სხვა პირები;
2. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მაუწყებლის დირექტორი. სამსახურის უფროსის არყოფნის ანდა მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში სამსახურს ხელმძღვანელობს ვებ-რედაქტორი;
3. სამსახურში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სამსახური უფლებამოსილი არ არის უარი განაცხადოს ამ დებულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე;
4. ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურის უფროსი შესასრულებელ სამუშაოებს ანაწილებს სამსახურში დასაქმებულ სხვა პირებზე ანდა ასრულებს უშუალოდ;
5. სამსახურში დასაქმებული ყველა პირი ადგენს და სამსახურის უფროსს წარუდგენს ყოველ კვარტალურ ანგარიშს, საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ;
6. სამსახურში დასაქმებულმა პირებმა თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და სამსახურში არსებული სხვა ხარვეზების შესახებ წერილობითი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ მაუწყებლის დირექტორს, გონივრულ ვადაში;
7. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის წინაშე. სამსახურის უფროსი პასუხისმგებელია სამსახურში დასაქმებული პირების მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულებაზე;
8. სამსახური პერიოდულად, მაგრამ არანაკლებ ექვს თვეში ერთისა ახორციელებს სამსახურის საქმიანობის ანალიზს;

მუხლი 7. დასკვნითი დებულება

1. სამსახურის ყველა თანამშრომელი ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე დებულება;
2. სამსახურის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.